



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბარიტი

ბარიტი, მძიმე შპატი, სულფატების კლასის მინერალი; ქიმ. შედგენილობა $BaSO_4$. გვხვდება მსხვილკრისტ., აგრეთვე წვრილმარცვლოვანი ან რადიალურ-სხივოსნური აგრეგატების სახით. თეთრია, ხშირად შეფერილია ჩანართი ნივთიერებებით. სისაღე მინერალოგიური სკალით 3-3,5; სიმკვრივე 4300-4700 კგ/მ³. აქვს მინისებრი ელვარება. წარმოიქმნება უმთავრესად ჰიდროთერმული პროცესების შედეგად, გვხვდება აგრეთვე დანალექი წარმოშობისა. ბ. გამოიყენება საბურღი ხსნარების დასამზადებლად, შემვსებად ქალაღდის, რეზინის, კერამ., ლაქსაღებავების, ცემენტის მრეწველობაში, მეტალურგიაში, ოპტიკაში. ბ. ბარიუმისა და მისი ნაერთების ძირითადი წყაროა.

საქართველოში ბ-ის საბადოები ბევრგან არის ცნობილი. იგი დაკავშირებულია შუაიურულ ვულკანოგენურ-დანალექ, ე. წ. პორფირიტულ წყებასთან. იხ. ქუთაისის ბარიტის საბადოების ჯგუფი, ჩორღის ბარიტის საბადო, ხაიშის ბარიტის საბადო.
